თორმეტი ვარსკვლავი, ორმოცდაათი წელიწადი

დღეს მთელს ჩვენს კონტინენტზე ფრიალებს ცისფერი დროშა თორმეტი ოქროსფერი ვარსკვლავით, დროშა, რომელსაც 50 წელი შეუსრულდა. ნახევარი საუკუნეა, რაც ის ევროპის მისწრაფებებსა და სინამდვილეს განასახიერებს.

ევროპული დროშა 1955 წელს მიიღეს ევროპის საბჭომ და მისმა თოთხმეტმა მაშინდელმა წევრმა სახელმწიფომ. დროშა მაშინვე იქცა მრავალი სახელმწიფოსა და ხალხის სურვილის გამოხატულებად – ერთად ეშრომათ კონტინენტზე მშვიდობისა და კეთილდღეობის დასამკვიდრებლად, ეშრომათ, რათა ევროპა გამხდარიყო კონტინენტი, სადაც გამეფდებოდა საერთო ფასეულობები — დემოკრატია, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა და სადაც ღირსეულ ადგილს დაიკავებდა მრავალფეროვნება.

1986 წელს ეს დროშა მიიღეს ევროპის თანამეგობრობებმაც (ახლანდელმა ევროკავშირმა), ვინაიდან თავიანთი პოლიტიკური და ინსტიტუციური მეთოდებით ისინი იმავე ძირეული მიზნის მიღწევას ესწრაფოდნენ.

ცისფერ-ოქროსფერი დროშა, რომელიც მთელს ევროპაში ქალაქის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონული და ეროვნული პოლიტიკური დაწესებულებების თავზე ეროვნული დროშების გვერდით ფრიალებს, არა მარტო სტრასბურგში, ბრიუსელსა და ლუქსემბურგში ევროპული ინსტიტუტების არსებობას მიუთითებს – ის მსოფლიო მასშტაბით ევროპის სიმბოლოა. ევროპული ინსტიტუტების თანხმობით დროშა გახდა ნაწილი იმ სახისა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ათასობით ინიციატივისა და უზომო რაოდენობის საწარმოს წარმოჩენის მიზნით დამკვიდრდა.

ევროპულმა წამოწყებამ, რასაკვირველია, შთამბეჭდავ წარმატებას მიაღწია, თუმცა მას ბევრი სიძნელის გადალახვაც მოუწია. მაგრამ კონტინენტზე მცხოვრები სხვადასხვა თვითმყოფადი ხალხის გამაერთიანებელი ევროპული კომპონენტი არ დასუსტებულა. ამის აშკარა დადასტურებაა დროშის დღეგრძელობა.

ახლა გვინდა გიამბოთ დროშის დაბადების, მისი ჰერალდიკური ჩანაფიქრის და იმ გასაოცარი იღბლის შესახებ, რომელიც მას ერგო – დროშის გამოყენებამ ხომ უაღრესად ფართო მასშტაბი შეიძინა.

ევროპის დროშა

სულ მალე მისი დაარსებიდან 1949 წელს ევროპის საბჭომ გაათვითცნობიერა, რომ აუცილებელი იყო, დამკვიდრებულიყო ევროპის სიმბოლოები, რომლებიც ნათლად დაანახებდა მთელს მსოფლიოს საბჭოს ერთგულებას ევროპის ერთიანობის მიმართ. 1955 წელს მიღებული ევროპის დროშა ევროპის ერთიანობისა და თვითმყოფადობის იდეალებს ასახავს. 1986 წლიდან ეს დროშა ევროკავშირის სიმბოლოც გახდა.

თორმეტი ვარსკვლავის იდეის დაბადება

ევროპის დროშის იდეა 1920-იანი წლების დასაწყისში წარმოიშვა. ვერც ერთმა ორი ძირითადი წინამორბედიდან – ვერც გრაფი კუდენჰოვე-კალერგის საერთოევროპულმა დროშამ, ყვითელმა წრემ ცისფერ ფონზე გამოსახული წითელი ჯვრით, და ვერც ევროპული მოძრაობის მწვანე ასო E-მ თეთრ ფონზე – ვერ მოიპოვა მხარდაჭერა. დროშის შექმნის იდეა აღარ წამოჭრილა 1949 წლამდე, როდესაც შეიქმნა ევროპის პირველი ოფიციალური პოლიტიკური ორგანიზაცია — ევროპის საბჭო.

1950-იანი წლების დასაწყისში ექსპერტების სხვადასხვა ჯგუფი, საბჭოები და კომიტეტები დიდხანს და საგულდაგულოდ განიხილავდნენ მთელი მსოფლიოს მხატვრების, ჰერალდიკის სფეროში ექსპერტებისა და ენთუზიასტი არაპროფესიონალების ასზე მეტ წინადადებას, მაგრამ საერთო გადაწყვეტილებას ვერ მიაღწიეს.

1955 წლის აპრილში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა აირჩია ორი ვარიანტი. პირველის ავტორი იყო არსენ ჰეიტცი, ორგანიზაციის წევრი. ეს დროშა ასახავდა „12 ხუთქიმიანი ოქროსფერი ვარსკვლავისგან“ შემდგარ წრეს. ვარსკვლავები ერთმანეთს არ ეხებოდა. მეორე ვარიანტი სალვადორ დე მადარიაგამ შექმნა – ეს იყო თანავარსკვლავედი.

ევროპის დროშა
50 წლისაა

ევროპის დროშის
რამდენიმე წარუმატებელი ნიმუში

ევროპის დროშა
50 წლისაა

ევროპის დროშა
50 წლისაა

1955 წლის დეკემბერში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მონონეების შემდეგ მინისტრთა კომიტეტმა საბოლოოდ პირველი ვარიანტი დაამტკიცა. ყველა ევროპულ ორგანიზაციას მოუწოდეს ამ დროშის მიღება. ევროპის საბჭომ დროშა პარიზში, *Château de la Muette*-ში წარადგინა 1955 წლის 13 დეკემბერს. ამ დროიდან ეს დროშა ევროპის საბჭოს ოფიციალური დროშა გახდა.

მრავლისმეტყველი სიმბოლო

ცისფერ ფონზე გამოსახული თორმეტი ოქროსფერი ვარსკვლავის წრე წარმოადგენს ევროპის ხალხების სიმბოლოს, წრე მათი ერთობის გამოხატულებაა.

ვარსკვლავთა რაოდენობა უცვლელია – ვარსკვლავი ყოველთვის თორმეტია. ეს არის ერთიანობისა და ჰარმონიის სიმბოლო, რომელიც წელიწადის თორმეტ თვესა და ზოდიაქოს თორმეტ ნიშანს მოგვაგონებს.

დროშამ საყოველთაო აღიარება ჰპოვა ევროპაში. 1958 წელს ბრიუსელში გამართულ საყოველთაო გამოფენაზე იგი მთელ ქალაქში ყველა საჯარო დაწესებულების თავზე ფრიალებდა.

ევროპის დროშა
50 წლისაა

სიმბოლო მთელი ევროპისათვის

1983 წელს ევროპარლამენტმა, ევროკავშირის არჩევითმა ორგანომ, მიიღო ევროპის საბჭოს მიერ შექმნილი დროშა და რეკომენდაცია გაუწია ევროპულ თანამეგობრობებს, დაემკვიდრებინათ ის თავიანთ სიმბოლოდ. ევროპის საბჭოსგან თანხმობის მიღების შემდეგ, 1985 წლის ივნისში, ევროპულმა საბჭომ (ანუ ევროკავშირის მინისტრთა საბჭომ) ოფიციალურად დაამტკიცა დროშა.

1986 წლიდან ევროპის დროშა და ემბლემა წარმოადგენს როგორც ევროპის საბჭოს, ისე ევროპარლამენტს (მაასტრიხტის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ კი ევროკავშირსაც). ცისფერ ფონზე გამოსახული თორმეტი ოქროსფერი ვარსკვლავის წრე დღეს ერთიანი ევროპისა და ევროპული თვითმყოფადობის სიმბოლოა.

ევროპა სტანდარტებს აწესებს

ევროკომისიას და ევროპის საბჭოს აკისრიათ პასუხისმგებლობა, უზრუნველყონ, რომ ყველამ, ვინც ამ სიმბოლოს გამოიყენებს, პატივი სცეს ევროპულ დროშას და ემბლემას. გარდა ამისა, ამ ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ყველანაირი ზომები მათი არამიზნობრივად გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

გეომეტრიული აღწერილობა

ემბლემას აქვს მართკუთხედი ცისფერი დროშის ფორმა. დროშის სიგრძე 1,5-ჯერ მეტია სიგანეზე. თორმეტი ოქროსფერი ვარსკვლავი განლაგებულია ერთმანეთისგან ზუსტად დაშორებული ინტერვალებით უხილავი წრის გარშემო, რომლის ცენტრს წარმოადგენს მართკუთხედის დიაგონალთა კვეთის ნერტილი. წრის რადიუსი მართკუთხედის სიგანის ერთ მესამედს უტოლდება. თითოეულ ვარსკვლავს აქვს ხუთი ქიმი. ვარსკვლავები მოთავსებულია უხილავი წრის შიგნით. წრის რადიუსი მართკუთხედის სიგანის ერთ მეთვრამეტედს უდრის. ყველა ვარსკვლავი სწორად დგას, ანუ ვარსკვლავის ერთი ქიმი ვერტიკალურია (აღმართულია ზემოთ), ხოლო ორი ქიმი სწორ ხაზზეა – მართი კუთხით არის მიმართული ღერძისაკენ.

ფერები

ემბლემა შედგება შემდეგი ფერებისგან: ლურჯი (Pantone Reflex Blue) მართკუთხედის ფონისათვის და ყვითელი (Pantone Yellow) ვარსკვლავებისათვის. პანტონის ეს საღებავები ფართოდ არის გავრცელებული და მისი მოპოვება არაპროფესიონალებსაც ადვილად შეუძლიათ.

ოთხფერიანი ფერდაშლის პროცესი

ოთხფერიანი ფერდაშლის პროცესში (CMYK) არ არსებობს დროშისთვის საჭირო ლურჯისა და ყვითელის ზუსტი შესატყვისი ფერები. ოთხფერიანი ფერდაშლის პროცესში ყვითელთან (Pantone Yellow) ყველაზე მიახლოებული ფერის მიღება ხდება 100% „ძირითადი ყვითელი ფერის“ (“Process Yellow”) გამოყენებით.
100% „ძირითადი ცისფერის“ (“Process Cyan”) და 80% „ძირითადი მეწამული საღებავის“ (“Process Magenta”) შეზავება იძლევა ლურჯთან (Pantone Reflex Blue) ძალზე მიახლოებულ ფერს.

მონოქრომული გამოსახვის პროცესი

თუ მხოლოდ შავ-თეთრი გამოსახვაა შესაძლებელი, მართკუთხედის კონტურები უნდა შეფერადდეს შავად და შავი ვარსკვლავები დაიდოს თეთრ ფონზე. თუ ემბლემის დაბეჭდვა მხოლოდ ლურჯად არის შესაძლებელი — ეს, ცხადია, პრიალა ლურჯი უნდა იყოს — გამოიყენეთ ლურჯი ფონად, ხოლო ვარსკვლავები თეთრად გამოსახეთ.

ევროპის დროშა 50 წლისაა

ჰერალდიკური აღწერა

ლურჯ ფონზე თორმეტი ოქროსფერი ხუთქიმიანი ვარსკვლავი. ვარსკვლავების ქიმები ერთმანეთს არ ეხება.



გამოსახვა ფერად ფონზე

საუკეთესო შემთხვევაში ემბლემა თეთრ ფონზე უნდა გამოისახოს. თუ შესაძლებელია, ერიდეთ ფონის შეზავებული ფერებით გამოსახვას — და, რასაკვირველია, დაუშვებელია ფონად ისეთი ფერის აღება, რომელიც არ ეხამება ლურჯს. თუ ფერადი ფონის გამოყენება გარდაუვალია, მართკუთხედს თეთრი კანტი შემოავლეთ გარშემო; ამ კანტის სიგანე მართკუთხედის სიგანის ერთი ოცდამეხუთედის ტოლი უნდა იყოს.

გამოსახვა ინტერნეტში

ლურჯი (Pantone Reflex Blue) შეესაბამება ინტერნეტის პალიტრის ფერს RGB:0/51/153 (თექვსმეტობითი სისტემით: 003399), ხოლო ყვითელი (Pantone Yellow) — ინტერნეტის პალიტრის ფერს RGB:255/204/0 (თექვსმეტობითი სისტემით: FFCC00).

ევროპის დროშა
50 წლისაა

ტექსტი რედაქტირებულია ევროპის საბჭოს მეთვალყურეობით, სტრასბურგი, 2005 წლის ნოემბერი.
© დიზაინი : The Big Family / ფოტოები : ევროპის საბჭო (გვ.2, გვ.4, გვ.16), C.U.S (გვ.7), PhotoAlto (გვ.1, გვ.5, გვ.6, გვ.10, გვ.14)